საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-436

ქ. თბილისი

13/04/2021

„შპს „აზერინშაატსერვისი-ს წარმომადგენლობა საქართველოში“-ზე ნინოწმინდის რაიონის სოფ. ყულალისის მიმდებარედ ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 22 სექტემბრის №ი-497 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 22 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „აზერინშაატსერვისის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2009 წლის №84 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „აზერინშაატსერვისის“ საქართველოს წარმომადგენლობის ასფალტის ნარევის წარმოებაზე (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულალისის მიმდებარე ტერიტორია) გაიცა №84 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (15.09.2009) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანია 2011 წლიდან აღარ ეწევა აღნიშნულ საქმიანობას. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „აზერინშაატსერვისის“ საქართველოს წარმომადგენლობის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „აზერინშაატსერვისი-ს წარმომადგენლობა საქართველოში“-ზე ნინოწმინდის რაიონის სოფ. ყულალისის მიმდებარედ ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 22 სექტემბრის №ი-497 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „აზერინშაატსერვისის“ საქართველოს წარმომადგენლობას;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აზერინშაატსერვისის“ საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი